მერაბ ალექსიძის 8, თბილისი, საქართველო, 0160
ტელ.: (+995 32) 220 65 20
ფაქსი: (+995 32) 220 65 19
info@gau.edu.ge www.gau.edu.ge

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

# ბიზნესის სკოლა

# კურიკულუმი

**პროგრამის სახელწოდება**
ბიზნესის ადმინისტრირება (120 კრედიტი) / Business Administration (120 Credits)
**საფეხური**
მაგისტრატურა
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი / Master of Business Administration
**პროგრამის ხელმძღვანელები**
თეიმურაზ ტორონჯაძე - პროფესორი, ბიზნესის სკოლის დეკანი

120 კრედიტი:
ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს.
სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 75კრედიტს.
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა იყოფა შემდეგ კომპონენტებად: სასწავლო, პრაქტიკული, კვლევითი და თავისუფალი.

სასწავლო კომპონენტი არის სასწავლო ელემენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს მაგისტრანტის დარგობრივ დახელოვნებას, ხელს უწყობს მას და ამზადებს პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად.

**სასწავლო კომპონენტში მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 90 კრედიტი** - აქედან, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 60 კრედიტი და სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი. 10 თავისუფალი კრედიტი მას შეუძლია დააგროვოს: იგივე შეთავაზებული არჩევით კურსებიდან; ბიზნესის სკოლაში ან ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**პრაქტიკულ კომპონენტში მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 10 კრედიტი:**
სტუდენტმა პრაქტიკა უნდა გაიაროს, თუ არ არის დასაქმებული და მას შეუძლია გაიაროს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა იმ

დაწესებულებებში, რომლებთანაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული უნივერსიტეტსა და ბიზნესის სკოლას. თუ დასაქმებულია სპეციალობით, მაშინ უნდა წარმოადგინოს ცნობა სამუშაო ადგილიდან დაკავებული პოზიციისა და მოვალეობების აღწერის მითითებით. თუ სტუდენტს არ ეკუთვნის პრაქტიკის გავლა მან უნდა აირჩიოს შემოთავაზებული სასწავლო სფეროს არჩევითი კურსები და დააგროვოს 10 კრედიტი.

**კვლევით კომპონენტში მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 20 კრედიტი:**
სტუდენტს შეუძლია შეუდგეს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას თუ მას გავლილი აქვს პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი და დაგროვილი უნდა ჰქონდეს 70 ან მეტი კრედიტი.
სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანი უნდა მოიცავდეს საქართველოსა ან უცხოეთში მოქმედი ფირმებისა და ორგანიზაციების ბიზნეს პრობლემატიკის კვლევას, ითვალისწინებდეს ქართული ბიზნესის რეგულაციებს, საერთაშორისო რეგულაციების ადაპტაციას და ა.შ. და აგებული იყოს რეალურ მონაცემებზე, რაც ამზადებს მაგისტრატურის სტუდენტებს ბიზნეს სფეროში სამუშაოდ.
კვლევით კომპონენტთან დაკავშირებული დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია ბიზნესის სკოლის (ფაკულტეტის) მაგისტრატურის დებულებაში.

**სწავლების ენა**
ქართული

**პროგრამის მიზანი**
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება და მისი აღჭურვა აუცილებელი ცოდნით, უნარებით და კვალიფიკაციით ბიზნესის ადმინისტრირების სფეროებში: ორგანიზაციები, სტრატეგიები, ოპერაციები, ბაზრები, მარკეტინგი, ფინანსები და ა.შ.;
- დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის საჭირო უნარების განვითარება;
- მომზადება პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის ბიზნესის სფეროში.
- გადაწყვეტილების მიღების უნარების გამომუშავება განუზღვრელობის პირობებში

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**
მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ჩააბარებს შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებას უცხო ენაში (ინგლისური) და გასაუბრებას სპეციალობაში. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა გაიაროს უცხო ენის (ინგლისური) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ტესტი.
პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი ან პირველი საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი აქვს უცხო ენაზე (ინგლისური) ტესტირებისგან თავისუფლდება.

**სავარაუდოდ სტუდენტთა რაოდენობა**
50

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მომზადებულია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში კვალიფიციური ბიზნესის ადმინისტრირების პრაქტიკის განსახორციელებლად და ფუნდამენტალური სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად.

**სწავლის შედეგები**

სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტი:

1. სიღრმისეულად და სისტემურად აღწერს ბიზნესის მართვასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ კონცეფციებს;
2. კრიტიკულად და არგუმენტირებულად მსჯელობს ბიზნესის მართვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, სტრატეგიებზე და ლიდერობის საკვანძო საკითხებზე;
3. ბიზნესის ადმინისტრირებაში მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე აანალიზებს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს, ტენდენციებს და იღებს გადაწყვეტილებას განვითარების სტრატეგიაზე;
4. იყენებს ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე კონცეფციებს ბიზნესის მართვის სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირების, ფორმულირების და ორიგინალური გზებით გადაწყვეტისათვის (მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით),
5. იყენებს რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს (მათ შორის სტატისტიკური მონაცემების ანალიზის, ინტერპრეტაციისა და ექსტრაპოლაციის ინსტრუმენტებს) გადაწყვეტილების მისაღებად კომპანიის ღირებულების გაზრდის მიზნით;
6. ბიზნესის კვლევის აპრობირებული და უახლესი მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას ბიზნეს გარემოში მიმდინარე კონკრეტული მოვლენების გასაანალიზებლად აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და სტანდარტების გამოყენები
7. კონკურენციის კრიტიკული ანალიზის და ფირმის შიდა რესურსების შეფასების საფუძველზე დამოუკიდებლად შეიმუშავებს და წარმართავს პროექტებს უცნობ და მულტი დისციპლინურ გარემოში;
8. წარადგენს საკუთარ მოსაზრებებს როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებასთან ეთიკური ნორმების დაცვით.
9. იზიარებს და აფასებს ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობისა და ბიზნეს ეთიკის ნორმებს
10. საკუთარი შესაძლებლობების თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასების საფუძველზე იღებს პასუხისმგებლობას უწყვეტი პროფესიულ განვითარებაზე და დამოუკიდებლად წარმართავს სწავლის პროცესს.

## სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

☒ ლექცია ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება ☒ პრაქტიკული მეცადინეობა და სხვა

- ვერბალური მეთოდი (Verbal Method);
- დემონსტრირების მეთოდი (Demonstrate Method)
- პრეზენტაცია (Presentation)
- პრაქტიკული მუშაობა; (Practical Work)
- ჯგუფში მუშაობა (Group Work)
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება; (Project Based Study)
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; (Problem Based Study)
- სწავლება კეთებით (Learning by Doing)
- შემთხვევის შესწავლა (Case Study)
- სიმულაციური სწავლება (Simulation Study)
- დისკუსია/ დებატები (Discussions/Debates)
- ელექტრონული სწავლება;
- და სხვა.

**სწავლება-სწავლისათვის გამოყენებული აქტივობები:**

- წიგნების/სახელმძღვანელოების დამოუკიდებლად დამუშავება/განმარტება/ინტერპრეტირება;
- პრაქტიკული მაგალითები;
- პროფესიული ანგარიშის შედგენა;
- შეკითხვებზე პასუხების მომზადება;
- წერილობითი დავალებების შესრულება;
- შემთხვევების ანალიზი;
- დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობა;
- კვლევითი ნაშრომის დამოუკიდებლად მომზადება ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე;
- ნაშრომის/პროექტის/თეზისის დამოუკიდებლად მომზადება და სწავლა პრაქტიკული სამუშაოს შესრულების გზით;
- და სხვა

## შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კურსში კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში;

სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების კომპონენტებს - შუალედურ

და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას.

დასკვნითი გამოცდის შეფასების ქულაა 40, დანარჩენი 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით;

შუალედურ შეფასებაში სავალდებულოა ერთი შუალედური გამოცდის გათვალისწინება, რომელიც 20 ქულაა;

შუალედური შეფასების დანარჩენი 40 ქულის განაწილება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ტესტირებას, სემინარებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტივობას, წარმოებს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და დეტალურად გაიწერება სილაბუსში კურსის წამყვანი პროფესორის მიერ;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, სილაბუსებში მოცემული მინიმალური კომპეტენციების ზღვრების გათვალისიწნებით;

სტუდენტი დამატებით გამოცდაზე გადის იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდებს შორის შუალედი არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები;

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება განისაზღვრება ზემოთ მოყვანილი შეფასების სისტემის მიხედვით.

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც).

კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად განხორციელდეს: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი გამრავლდეს ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი გაიყოს სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

| შეფასების სისტემა |
|---|
| **სტუდენტთა შეფასება განისაზღვრება შემდეგი შეფასების სისტემის მიხედვით:**<br>**დადებითი შეფასებები:**<br>(A) ფრიადი - 91-100 ქულა;<br>(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;<br>(C) კარგი - 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი - 51-60 ქულა;<br>**უარყოფითი შეფასებები:**<br>(FX) ვერ ჩააბარა _ 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>ჩაიჭრა _ 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br>(FX) ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. |

## პროგრამის განსახორციელებლად მისაღწევი რესურსები

**მატერიალური რესურსი:**

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი;
- ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;
- ბუნებრივი განათება;
- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა.

**ადამიანური რესურსი:**

- აკადემიური პერსონალი შერჩეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
- მკვლევარებად და მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.

**დანართი 1: პროგრამის სასწავლო გეგმა.**
**დანართი 2: CV - თეიმურაზ ტორონჯაძე**